MKD LAW

ფუნდამენტური ცვლილებები საქართველოს საიმიგრაციო კანონმდებლობაში

ახალი რეგულაციები მთავრობის №70 დადგენილებით, შრომითი საქმიანობის უფლების შემოღება და დამსაქმებლის ვალდებულებები

ანი ნანობაშვილი

უფროსი იურისტი, MKD Law

MKD LAW

რა შეიცვალა და რატომაა ეს მნიშვნელოვანი

მთავრობის №70 დადგენილებით და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით ფუნდამენტურად შეიცვალა წესები

ახალი რეგულაცია

მთავრობის №70 დადგენილება განსაზღვრავს უცხოელთა დასაქმების ახალ სტანდარტებსა და პროცედურებს.

შრომითი საქმიანობის უფლება

შემოღებულია სავალდებულო ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ლეგალური დასაქმებისთვის.

სპეციფიკური კავშირი

უფლება გაიცემა კონკრეტულ პირზე, კონკრეტულ დამსაქმებელთან და კონკრეტულ პოზიციაზე.



ამ უფლების გარეშე მუშაობა კვალიფიცირდება როგორც უკანონო შრომითი საქმიანობა და იწვევს დაჯარიმებას!

MKD LAW

ვის ეხება ცვლილებები?

ახალი რეგულაციების დაცვა სავალდებულოა შემდეგი კატეგორიის პირებისთვის

უცხოელი დირექტორები

საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის ხელმძღვანელი პირები

ნებისმიერი უცხოელი

ყველა უცხოელი, რომელიც ახორციელებს შრომით ან სამეწარმეო საქმიანობას

არ ვრცელდება მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებზე

თვითდასაქმებულები

უცხოელი თვითდასაქმებული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები

დისტანციური მუშაკები

ადგილობრივ დამსაქმებელთან დასაქმებული პირები, რომლებიც მუშაობენ საზღვარგარეთიდან

MKD LAW

ვისზე **არ ვრცელდება** კანონის მოთხოვნები?

„შრომითი მიგრაციის“ შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება შემდეგ კატეგორიებზე

ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები

პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ლტოლვის ან ჰუმანიტარული სტატუსი, ან არიან თავშესაფრის მაძიებლები.

დიპლომატიური კორპუსი

აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საკონსულო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულები.

აკრედიტებული ჟურნალისტები

უცხოური მედიასაშუალებების აკრედიტებული წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ ჟურნალისტურ საქმიანობას.

საინვესტიციო ბინადრობა

საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე პირები თავისუფლდებიან შრომითი საქმიანობის უფლების მოპოვებისგან.

სრული ჩამონათვალი იხილეთ კანონში

MKD LAW

უფლების მოპოვების ეტაპები

სავალდებულო პროცედურები შრომითი საქმიანობის უფლების მისაღებად

01

ბაზრის ტესტირება

დამსაქმებელმა უნდა განათავსოს ვაკანსია **worknet.moh.gov.ge** პორტალზე მინიმუმ **10 დღის** განმავლობაში.

02

ელექტრონული განაცხადი

ბაზრის ტესტირების წარმატებით გავლის შემდეგ, განაცხადის წარდგენა **labourmigration.moh.gov.ge**-ზე კვალიფიციური ელ-ხელმოწერით.

03

კვოტები

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ყოველწლიურად მოხდება კონკრეტული პროფესიებისა და საქმიანობის სფეროების გამოყოფა, რომლებშიც უცხოელთა დასაქმების შესაძლებლობა იქნება შეზღუდული ან საერთოდ გამორიცხული.

გამონაკლისები (ბაზრის ტესტირება არ ეხება)

- სტარტაპებს
- მაღალანაზღაურებად კადრებს (არანაკლებ 15,000 ლარი ყოველთვიური ანაზღაურება + შესაბამისი სპეციფიკური ცოდნა)
- საერთაშორისო სტატუსის მქონე კომპანიებს

საჭირო ელექტრონული ხელმოწერა

- დაგჭირდებათ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან კომპანიის ელექტრონული შტამპი ელექტრონული განაცხადისთვის

MKD LAW

ვადები და საფასური

შრომითი საქმიანობის უფლებაზე მიმართვის პირობები

სტანდარტული მომსახურება

200 ₾

30 კალენდარული დღე

განაცხადის განხილვის მაქსიმალური ვადა

დაჩქარებული მომსახურება

რეკომენდებული

400 ₾

10 სამუშაო დღე

სწრაფი განხილვა პრიორიტეტულ რეჟიმში

MKD LAW

შემდგომი ნაბიჯები დამტკიცების შემდეგ

შრომითი საქმიანობის უფლების მიღების შემდეგ განსახორციელებელი პროცედურები

შრომითი საქმიანობის უფლების მიღება

თუ იმყოფებით საქართველოში

- შრომითი ბინადრობის ნებართვაზე მიმართვა

10 დღის ვადაში

თუ იმყოფებით ქვეყნის გარეთ

- D1 კატეგორიის ვიზის მოთხოვნა

30 დღის ვადაში

ვის არ მოეთხოვება ამ ნაბიჯების გავლა?

პირებს, რომლებსაც უკვე აქვთ ბინადრობის ნებართვა (მაგ: მოკლევადიანი, ოჯახის გაერთიანება) ან სრულად დისტანციურად მუშაობენ საზღვარგარეთიდან.

MKD LAW

სანქციები უკანონო დასაქმებისთვის

კანონის დარღვევა იწვევს ფინანსურ პასუხისმგებლობას

უფლების გარეშე შრომითი საქმიანობა

2,000 ₾

ჯარიმა ეკისრება როგორც დამსაქმებელს, ისე დასაქმებულს ცალ-ცალკე.

ჯარიმა გამოითვლება თითოეულ დასაქმებულ პირზე ინდივიდუალურად

დარღვევის განმეორება

4,000 ₾

დარღვევის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ორმაგდება.

პროგრესული ჯარიმები ყოველი მომდევნო დარღვევისთვის

ინფორმაციის წარუდგენლობა

1,000 ₾

შრომითი ხელშეკრულების ცვლილების ან შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ წარუდგენლობა.

ჯარიმა ეკისრება მხოლოდ დამსაქმებელს

გაფრთხილება: სანქციები ვრცელდება ყველა სუბიექტზე, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ათავისუფლებს პირს ვალდებულების შესრულებისგან.

MKD LAW

გარდამავალი **პერიოდი** და ვადები

ახალი რეგულაციების აღსრულებაზე დაწესებულია სპეციალური საშეღავათო პერიოდები არსებული სუბიექტებისთვის

1 მაისი, 2026

აღსრულების შეჩერება

აღსრულების მექანიზმები არ ამოქმედდება იმ **უცხოელი დირექტორებისა** და **თვითდასაქმებულების** მიმართ, რომლებიც 1 მარტამდე უკვე ეწეოდნენ შრომით/სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში.

1 იანვარი, 2027

რეგისტრაციის ვადა

ვადა ეძლევათ პორტალზე უკვე რეგისტრირებულ **აქტიური სტატუსის** მქონე პირებს, რათა ახალი წესით მოიპოვონ შრომითი საქმიანობის უფლება და ბინადრობის ნებართვა.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან კომპანიის ელექტრონული შტამპის აღება სავალდებულოა

როგორ შეგვიძლია დაგეხმაროთ?

ჩვენი გუნდი მზადაა უზრუნველყოს თქვენი კომპანიის სრული სამართლებრივი მხარდაჭერა

ბაზრის ტესტირების მართვა

ვაკანსიების სწორი ფორმულირება და ბაზრის ტესტირების პროცესის სრული მენეჯმენტი პორტალზე.

შრომითი ხელშეკრულებები

შრომითი ხელშეკრულებების მომზადება და არსებულის შესაბამისობაში მოყვანა ახალ სტანდარტებთან.

სამართლებრივი თანხლება

ნებართვებისა და ბინადრობის მოპოვების პროცესის სრული იურიდიული მხარდაჭერა და წარმომადგენლობა.

MKD LAW

თქვენი სანდო სამართლებრივი მრჩეველი

ტელეფონი
+995 32 255 3880

ელ-ფოსტა
ananobashvili@mkdlaw.ge

დაგვიკავშირდით →